

შპს „მარსი“

2020 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „მარსის“ აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მარსის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა, ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის წაკითხვას და იმის განსაზღვრას, ხომ არ აქვს ადგილი მმართველობითი ანგარიშის არსებით შეუსაბამობას ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობითი ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შესაბამეა ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

**ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა
ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.



შპს „მარსი“

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ. პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს "KPMG Georgia"


თბილისი, საქართველო

19 მარტი, 2021 წელი

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ. პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი



შპს "KPMG Georgia"

თბილისი, საქართველო

19 მარტი, 2021 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	5,045	5,257
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის		69	259
აქტივები გამოყენების უფლებით	12	1,248	1,677
არამატერიალური აქტივები		987	1,264
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,349	8,457
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	140,648	74,560
გაცემული ავანსები		16,397	3,070
მოთხოვნები მომსახურების მომწოდებლების მიმართ		3,315	2,931
შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთები		165	165
მარაგები		62	156
სხვა მოთხოვნები		28	219
სულ მიმდინარე აქტივები		160,615	81,101
სულ აქტივები		167,964	89,558
კაპიტალი	15		
გაუნაწილებელი მოგება		138,966	72,634
სულ კაპიტალი		138,966	72,634
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		1,142	1,407
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,142	1,407
მიმდინარე ვალდებულებები			
მომხმარებელთა ნაშთები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	13	14,135	5,247
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	8,538	5,307
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	8(b)	4,762	4,642
საიჯარო ვალდებულება	12	421	321
სულ მიმდინარე ვალდებულებები		27,856	15,517
სულ ვალდებულებები		28,998	16,924
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		167,964	89,558

შპს "მარსი"
2020 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	6	363,292	260,226
სხვა შემოსავალი		572	498
საოპერაციო ხარჯები	7	(158,532)	(148,446)
თანამშრომელთა სარგებელი		(12,535)	(11,723)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,487)	(1,912)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		190,310	98,643
ფინანსური შემოსავალი		5,014	3,063
ფინანსური ხარჯები		(1,243)	(188)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	9	3,771	2,875
სხვა ხარჯები		-	(593)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		194,081	100,925
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(17,018)	(6,591)
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		177,063	94,334

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 19 მარტს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

გიორგი ჩხეიძე
დირექტორი

ირაკლი ხვედელიანი
ფინანსური დირექტორი


მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-35 გვერდებზე.

შპს "მარსი"

2020 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	6	363,292	260,226
სხვა შემოსავალი		572	498
საოპერაციო ხარჯები	7	(158,532)	(148,446)
თანამშრომელთა სარგებელი		(12,535)	(11,723)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,487)	(1,912)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		<u>190,310</u>	<u>98,643</u>
ფინანსური შემოსავალი		5,014	3,063
ფინანსური ხარჯები		(1,243)	(188)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	9	<u>3,771</u>	<u>2,875</u>
სხვა ხარჯები		-	(593)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		<u>194,081</u>	<u>100,925</u>
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(17,018)	(6,591)
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		<u><u>177,063</u></u>	<u><u>94,334</u></u>

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 19 მარტს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:



 გიორგი ჩხეიძე
 დირექტორი



 ირაკლი ხვედელიანი
 ფინანსური დირექტორი

'000 ლარი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	37,528	37,528
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		
წლის მოგება	94,334	94,334
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან		
დივიდენდები	(59,228)	(59,228)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები		
მესაკუთრებთან	(59,228)	(59,228)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	72,634	72,634
 ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	 72,634	 72,634
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		
წლის მოგება	177,063	177,063
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან		
დივიდენდები	(110,731)	(110,731)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები		
მესაკუთრებთან	(110,731)	(110,731)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	138,966	138,966

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		194,081	100,925
<i>კორექტირებები:</i>			
წმინდა ფინანსური შემოსავალი		(3,771)	(2,875)
ცვეთა და ამორტიზაცია		2,487	1,912
სხვა არაფულადი ერთეულები		(107)	-
სხვა ხარჯები (სხვა მოთხოვნების ჩამოწერა)		-	593
		192,690	100,555
<i>ცვლილებები:</i>			
გაცემულ ავანსებში		(13,327)	(1,272)
მოთხოვნებში მომსახურების მომწოდებლების მიმართ		(384)	(1,606)
სხვა მოთხოვნებში		191	(812)
მარაგებში		94	(143)
გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		120	1,488
მომხმარებელთა ნაშთებში და წარმოებულ ფინანსურ			
ვალდებულებებში		8,888	2,116
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,017	1,903
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		191,289	102,229
მოგების გადასახადის გადახდამდე			
გადახდილი პროცენტი		(157)	(188)
გადახდილი მოგების გადასახადი		(17,018)	(7,471)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		174,114	94,570
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		5,014	2,802
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური			
აქტივების შეძენა		(1,430)	(2,546)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური			
აქტივების გაყიდვა		6	3
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა			
ფულადი სახსრები		3,590	259
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(110,731)	(64,212)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(207)	(304)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა			
ფულადი სახსრები		(110,938)	(64,516)
წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მათ		66,766	30,313
ეკვივალენტებში			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		74,560	44,011
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა კომპანიის			
საკუთრებაში არსებულ ფულად სახსრებზე		(678)	236
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		140,648	74,560
31 დეკემბერს	11		

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „მარსი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2015 წლის 5 მაისს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალო, ქავთარაძის ქუჩა #5. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 405099058.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მულტიბრენდული სათამაშო ვებგვერდის საქმიანობის წარმართვა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორს, ონლაინ კაზინოს, ონლაინ peer-to-peer და სხვა ონლაინ თამაშებს. კომპანია აღნიშნულ მომსახურებებს სთავაზობს ვებგვერდის - www.crystalbet.com-ის საშუალებით.

2020 წლის დასაწყისში, კომპანია ამუშავებდა 33 სალაროს საქართველოს მასშტაბით, ქვეყნში (საქართველო) მდებარე კაზინოს და საბუკმეიკერო კანტორას, რომელიც მდებარეობს ბორჯომში, საქართველო. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობის მიერ COVID-19-ის გავრცელების საწინააღმდეგოდ დაწესებული შეზღუდვების შედეგად, კომპანიამ დახურა სალაროები, აღნიშნული კაზინო და საბუკმეიკერო კანტორა და შეწყვიტა მათი საქმიანობა. კომპანია გეგმავს განაახლოს ყველა მისი კაზინოს საქმიანობა, როგორც კი მთავრობა მოხსნის აღნიშნულ შეზღუდვებს (იხ. შენიშვნა 20).

კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა არის შემდეგი:

მესაკუთრეები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
Bwin Holdings (Malta) Limited	51%	51%
ლევან ახვლედიანი	24%	24%
კნიაზ დასენი	10%	10%
გიორგი ჩხეიძე	5%	5%
კობა გიგლემიანი	5%	5%
ვანო გიგლემიანი	5%	5%

კომპანიის უმრავლესობის აქციონერი (51%) არის "Bwin Holdings (Malta) Limited", შუალედური კომპანია, რომელიც საბოლოოდ კონტროლდება "Entain PLC"-ის მიერ (ყოფილი "GVC Holdings PLC"), მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სპორტული ფსონებისა და სათამაშო ბიზნესის ჯგუფი, რომელიც ოპერირებს როგორც ონლაინ, ასევე საცალო სექტორში. "Entain PLC"-ის აქციები კოტირებულია ლონდონის საფონდო ბირჟის ძირითადი ბაზრის ოფიციალურ სიაში (პრემიუმ სეგმენტი).

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 18-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმეტესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნაში 6 - შემოსავალი.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

სამართლიანი ღირებულებები ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

- **დონე 1:** კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- **დონე 2:** შემაჯალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- **დონე 3:** მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 16(a) - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

კომპანიამ ვადაზე ადრე მიიღო COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები - ფასს 16-ში შეტანილი ცვლილება, რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის 28 მაისს. ცვლილებას შემოაქვს ნებაყოფლობითი პრაქტიკული მიზანშეწონილობა იჯარებისთვის, რომლებშიც კომპანია მოქმედებს როგორც მოიჯარე - ანუ იჯარებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც კომპანია იყენებს პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, კომპანია არ არის ვალდებული შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა დასაშვები საიჯარო კონცესიები (რომლებიც COVID-19 კორონავირუსის პანდემიის პირდაპირი შედეგია), საიჯარო კორექტირებებს. კომპანიამ რეტროსპექტულად გამოიყენა აღნიშნული ცვლილება. ცვლილებას არ აქვს გავლენა გაუნაწილებელ მოგებაზე 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ზემოაღნიშნული საიჯარო კონცესიების გავლენა არ არის არსებითი, დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილეთ შენიშვნა 12 (ii).

6. შემოსავალი

'000 ლარი	2020	2019
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
შემოსავალი ონლაინ peer-to-peer თამაშებიდან	11,251	10,568
სხვა შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	11,124	2,072
	22,375	12,640
სხვა შემოსავალი		
შემოსავალი ონლაინ კაზინოს თამაშებიდან	270,597	176,852
შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორიდან	70,320	70,734
	340,917	247,586
წმინდა შემოსავალი სათამაშო საქმიანობიდან	363,292	260,226

წმინდა შემოსავალი სათამაშო საქმიანობიდან წარმოდგენილია პროგრესულ საპრიზო ფონდში შენატანების, კლიენტებისთვის განკუთვნილი წამახალისებელი აქციებისა და ბონუსების გამოკლებით.

შემოსავლის უდიდესი ნაწილი წარმოიშობა საქართველოში მცხოვრები ონლაინ მომხმარებლებისგან. ბიზნესის ოპერაციების შინაარსიდან გამომდინარე, არ არსებობს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ნაშთები.

ინფორმაცია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ნაკისრი ვალდებულებების ხასიათის შესახებ წარმოდგენილია შენიშვნაში 21(a).

7. საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
თამაშების მომწოდებლის ხარჯები	52,751	37,261
გადასახადი ტოტალიზატორის ფსონებზე	38,368	39,970
მომსახურების მომწოდებლის მოსაკრებლები და ბანკის საკომისიოები	35,071	29,829
მარკეტინგის და სარეკლამო ხარჯები	26,036	34,302
ფიქსირებული სათამაშო მოსაკრებლები საგადასახადო ორგანოებისთვის	2,059	2,040
ტექნოლოგიის ხარჯები	1,613	1,465
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	614	617
პროფესიული მომსახურება	419	536
საიჯარო ხარჯები	365	1,104
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	147	348
საოფისე მარაგები	83	81
სხვა ხარჯები	1,006	893
	158,532	148,446

ფიქსირებული სათამაშო მოსაკრებლები საგადასახადო ორგანოებისთვის წარმოადგენს კონკრეტულ ფიქსირებულ კვარტალურ საგადასახადო დარიცხვებს, ადგილობრივი უფლებამოსილი პირების სასარგებლოდ და წლიურ სანებართვო მოსაკრებლებს სათამაშო საქმიანობისთვის. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ აღრიცხა მარეგულირებლის სანებართვო მოსაკრებლის საავანსო ნაშთი, შესაბამისად 500 ათასი ლარის და 522 ათასი ლარის ოდენობით (შენიშვნა 8).

8. დაბეგვრა

(a) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

კომპანიაზე ვრცელდება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთი ქართული კომპანიებისთვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორიდან საქართველოში სპეციფიურ დაბეგვრის რეჟიმს ექვემდებარება. განაწილებული მოგების დაბეგვრის მაგივრად, ონლაინ ტოტალიზატორის ბრუტო შემოსავალი (ანუ მიღებული ფსონები) იბეგრება. შედეგად, ონლაინ ტოტალიზატორიდან მიღებული მოგების შემდგომი განაწილება არ ექვემდებარება მოგების გადასახადს.

17,018 ათასი ლარის ოდენობით მოგების გადასახადი (2019: 6,591 ათასი ლარი) უკავშირდება განაწილებულ მოგებას, რომელიც მიღებულია ონლაინ ტოტალიზატორის გარდა სხვა საქმიანობიდან, 2020 წლის განმავლობაში.

მოგების გადასახადის აღიარების და შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია შენიშვნაში 21 (e).

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	2020		2019	
	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
გამოცხადებული დივიდენდები	110,731		59,228	
დივიდენდები, რომლებიც არ იბეგრება მოგების გადასახადით*	(14,298)		(21,881)	
დივიდენდები/შემოსავალი, რომელიც იბეგრება მოგების გადასახადით	96,433	100	37,347	100
გადასახადი, შიდა საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით	17,018	18	6,591	18
მოგების გადასახადის ხარჯი წლის განმავლობაში	17,018	18	6,591	18

* ოდენობები წარმოადგენს ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული მოგების და საპროცენტო შემოსავლის განაწილებას. ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული მოგების და საპროცენტო შემოსავლის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

(b) გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საგადასახადო ვალდებულება ტოტალიზატორის ფსონებზე	4,517	3,971
წინასწარ გადახდილი მარეგულირებლის სანებართვო მოსაკრებლები	(500)	(522)
სხვა გადასახადები	745	1,193
	4,762	4,642

9. წმინდა ფინანსური შემოსავალი

'000 ლარი	2020	2019
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი	5,014	2,802
უცხოური გაცვლითი კურსის წმინდა შემოსულობა	-	261
ფინანსური შემოსავალი	5,014	3,063
ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(157)	(188)
უცხოური გაცვლითი კურსის წმინდა ზარალი	(1,086)	-
ფინანსური ხარჯები	(1,243)	(188)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური შემოსავალი	3,771	2,875

10. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	4,866	767	59	212	5,904
შესყიდვები	1,985	142	22	24	2,173
გაყიდვები	(3)	-	-	-	(3)
ნაშთი					
2019 წლის 31 დეკემბერს	6,848	909	81	236	8,074
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	6,848	909	81	236	8,074
შესყიდვები	1,245	151	44	177	1,617
გაყიდვები	(6)	-	-	-	(6)
ნაშთი					
2020 წლის 31 დეკემბერს	8,087	1,060	125	413	9,685
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,384	113	19	21	1,537
დარიცხვა წლის განმავლობაში	1,104	127	16	33	1,280
ნაშთი					
2019 წლის 31 დეკემბერს	2,488	240	35	54	2,817
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	2,488	240	35	54	2,817
დარიცხვა წლის განმავლობაში	1,583	162	24	59	1,828
გაყიდვები	(5)	-	-	-	(5)
ნაშთი					
2020 წლის 31 დეკემბერს	4,066	402	59	113	4,640
საბალანსო ღირებულება:					
2019 წლის 31 დეკემბერს	4,360	669	46	182	5,257
2020 წლის 31 დეკემბერს	4,021	658	66	300	5,045

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული სალაროში	263	2,835
ბანკში არსებული ნაშთები	140,385	70,525
ფულადი სახსრები გზაში	-	1,200
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	140,648	74,560

12. იჯარები

(a) იჯარები როგორც მოიჯარე

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მოიჯარის სახით მოქმედებს წარმოდგენილია ქვემოთ.

(i) წლის გავლენა

'000 ლარი	საოფისე ფართი	მიწის ობიექტები	სულ
აქტივები გამოყენების უფლებით			
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,430	231	1,661
შესყიდვები	369	-	369
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,799	231	2,030
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,799	231	2,030
კორექტირების შედეგად გამოწვეული შემცირებები	(41)	(9)	(50)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,758	222	1,980
ცვეთა			
ცვეთის დარიცხვა	(307)	(46)	(353)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(307)	(46)	(353)
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	(307)	(46)	(353)
ცვეთის დარიცხვა	(335)	(44)	(379)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	(642)	(90)	(732)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,492	185	1,677
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	1,116	132	1,248
საიჯარო ვალდებულება			
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,430	231	1,661
შესყიდვები	369	-	369
პროცენტის დარიცხვა	159	29	188
საიჯარო ვალდებულების დაფარვები	(270)	(34)	(304)
გადახდილი პროცენტი	(159)	(29)	(188)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	2	-	2
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,531	197	1,728
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,531	197	1,728
პროცენტის დარიცხვა	139	18	157
საიჯარო ვალდებულების დაფარვები	(175)	(32)	(207)
გადახდილი პროცენტი	(139)	(18)	(157)
კორექტირების შედეგად გამოწვეული შემცირებები	(41)	(9)	(50)
საიჯარო შეღავათების შედეგად გამოწვეული შემცირებები	(97)	(10)	(107)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	179	20	199
საიჯარო ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	1,397	166	1,563

(ii) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2020	2019
იჯარები ფასს 16-ის ფარგლებში		
პროცენტი საიჯარო ვალდებულებაზე	157	188
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	366	1,104
ამონაგები COVID-19-თან დაკავშირებულ საიჯარო კონცესიებზე	(107)	-

(iii) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2020	2019
საიჯარო ვალდებულების დაფარვები (-)	(207)	(304)
გადახდილი პროცენტი (-)	(157)	(188)
საიჯარო გადახდები მოკლევადიანი იჯარებისთვის	(366)	(1,104)
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	(730)	(1,596)

(iv) ვალდებულებების მოძრაობის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება:

'000 ლარი	საიჯარო ვალდებულება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,661	1,661
საიჯარო გადახდები	(304)	(304)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	(304)	(304)
სხვა ცვლილებები		
გადახდილი პროცენტი (საოპერაციო ფულადი ნაკადები)	(188)	(188)
საპროცენტო ხარჯი	188	188
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული ზარალი	2	2
საიჯარო ვალდებულებების აღიარება საიჯარო ხელშეკრულებებიდან, რომლებიც წლის განმავლობაში შევიდა ძალაში	369	369
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	371	371
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,728	1,728

'000 ლარი	საიჯარო ვალდებულება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,728	1,728
საიჯარო გადახდები	(207)	(207)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	(207)	(207)
სხვა ცვლილებები		
გადახდილი პროცენტი (საოპერაციო ფულადი ნაკადები)	(157)	(157)
საპროცენტო ხარჯი	157	157
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული ზარალი	199	199
საიჯარო ვალდებულების შემცირება კორექტირების შედეგად	(50)	(50)
ამონაგები COVID-19-თან დაკავშირებულ საიჯარო კონცესიებზე	(107)	(107)
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	42	42
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,563	1,563

13. მომხმარებელთა ნაშთები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მომხმარებელთა ნაშთები და ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები*	14,135	5,247
	14,135	5,247

* ფინანსური ანგარიშგების ეს მუხლი მოიცავს ტოტალიზატორის გაუთამაშებელ ფსონებს, რომლებიც წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ ფსონებს სპორტის თამაშებზე, რომელთა შედეგებიც წლის ბოლოსთვის ჯერ არ დამდგარა. ამგვარი პოზიციები წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და კომპანიის მიერ თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულია, როგორც მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები.

წარმოებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არ არის არსებითი და არსებითად არ განსხვავდება იმ თანხისგან, რაც კომპანიამ სავარაუდოდ უნდა გადაიხადოს ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის ვადის დადგომისას. ტოტალიზატორის ფსონები არ არიან პროცენტის მატარებელი, შესაბამისად, ისინი არ ატარებენ საპროცენტო და საკრედიტო რისკებს თავიანთ ნაშთებზე.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ვალდებულებები აქციონერების მიმართ	7,989	4,418
სხვა ვალდებულებები	549	889
	8,538	5,307

15. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში. წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა, ნულის ტოლი ოდენობით.

(b) დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ასევე მათ აქვთ უფლებამოსილება კომპანიის დამფუძნებელთა კრებაზე საკუთრების პროცენტულობის შესაბამისი ხმის უფლების რაოდენობაზე.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრულის შესაბამისად. 2020 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 110,731 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2019: 59,228 ათასი ლარი).

(c) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

16. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, გაურკვევლობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გამოითვლება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც ანგარიშგების თარიღში პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებს, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების მოკლე ვადიანობის გამო.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 16(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 16(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 21(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი ფუნქციები და ვალდებულებები.

სპორტულ ფსონებთან დაკავშირებული რისკების მართვა კომპანიის ბიზნეს საქმიანობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს. კომპანიაში არის ცალკე განყოფილება, რომელიც საბუკმეიკერო ფსონების შედგენაზე და სპორტულ ფსონებთან დაკავშირებული რისკების მართვაზე არის პასუხისმგებელი.

აქციონერები ზედამხედველობას უწევენ, თუ რამდენად აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობას და განიხილავენ რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიშობება კომპანიის მოთხოვნებიდან მომსახურების მომწოდებლების მიმართ, სხვა მოთხოვნებიდან, შეზღუდული ნაშთებიდან და ბანკში არსებული ნაშთებიდან.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ საანგარიშგებო თარიღისთვის არის შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ბანკში არსებული ნაშთები	140,385	71,725
შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთები	165	165
მოთხოვნები მომსახურების მომწოდებლების მიმართ	3,315	2,931
სხვა მოთხოვნები	28	219
	143,893	75,040

საბანკო ნაშთები და შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთები

ბანკში არსებული ნაშთები და შეზღუდული ნაშთები ძირითადად განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომლებსაც შეესაბამება საერთაშორისო სააგენტო Fitch-ის მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგი B. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრ აგენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

მოთხოვნები მომსახურების მომწოდებლების მიმართ

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, არცერთი მოთხოვნა მომსახურების მომწოდებლების მიმართ არ ყოფილა ვადაგადაცილებული. მომსახურების მომწოდებლების მიმართ არსებული მოთხოვნების არსებითი ნაწილის შეგროვება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ განხორციელდა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანია არ არის არსებითად დაქვემდებარებული საკრედიტო რისკს აღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებაში.

კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულებების ვადაში დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას შესაბამისი ოდენობის საკრედიტო საშუალებებით.

კომპანიის საქმიანობის ხასიათიდან და სპორტული ფსონების შედეგების პოტენციური არასტაბილურობიდან გამომდინარე, არსებობს ალბათობა, რომ რეალური მოკლევადიანი ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებული იქნება მოსალოდნელი ნაკადებისგან. შედეგად, კომპანია იყენებს მეტად კონსერვატულ მიდგომას ფულადი სახსრების პროგნოზირების დროს, იმ მიზნით, რომ მოხდეს თამაშებში შესაძლო უარყოფითი შედეგების შედეგად გამოწვეული დანაკარგების დაზღვევა.

კომპანია უზრუნველყოფს რომ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები მოთხოვნამდე, მისი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯების, დასაფარავად მომდევნო სამი თვის განმავლობაში. აღნიშნული არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით:

31 დეკემბერი 2020

'000 ლარი	საბალანსო ლირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,538	8,538	8,538	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	1,563	1,806	541	540	725	-
	10,101	10,344	9,079	540	725	-

31 დეკემბერი 2019

'000 ლარი	საბალანსო ლირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,307	5,307	5,307	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	1,728	2,126	476	496	992	162
	7,035	7,433	5,783	496	992	162

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია გაყიდვები და შესყიდვები (ძირითადად თამაშების მომწოდებლებისგან) და კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. ვალუტა რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ზემოაღნიშნული შესყიდვები არის ევრო.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიას არ გააჩნია არსებითი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, შესაბამისად კომპანია არსებითად არ ექვემდებარება სავალუტო რისკს.

17. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტაციის არგუმენტირებას.

(b) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სამართლებრივი დავა ან სხვა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიონ კომპანიის საოპერაციო შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

18. დაკავშირებული მხარეები

(a) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

'000 ლარი	2020	2019
ხელფასები და სხვა სარგებელი	1,074	1,054
	1,074	1,054

(b) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი	
	წლისთვის		2020 წლის 31 დეკემბერს	2019 წლის 31 დეკემბერს
	2020	2019		
მომსახურების გაყიდვა*:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	147	399	12	148
მომსახურების შესყიდვა**:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	(7,737)	(5,610)	(3,254)	(1,501)
ფასს 16 საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებისგან	(97)	(106)	(968)	(1,016)
სხვა დაკავშირებული მხარეები	(9)	(9)	-	-

არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი. წინა და მიმდინარე პერიოდებში არ ყოფილა აღიარებული ხარჯი უიმედო ან საექვო ვალებზე, დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებულ მოთხოვნებთან მიმართებაში.

* მომსახურების გაყიდვა მოიცავს დაკავშირებულ მხარეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს „კრისტალბეთის“ სავაჭრო ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭების შესახებ.

** მომსახურების შესყიდვა მოიცავს დაკავშირებულ მხარეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურების მიწოდებასთან მიმართებაში:

- კომპანიისთვის, ტექნოლოგიური მომსახურების, მათ შორის, ონლაინ თამაშების, რულების პირდაპირი ეთერის და მათი ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების გაწევა;
- კომპანიისთვის სარეკლამო მომსახურების გაწევა;
- სხვადასხვა ქონების, მათ შორის კომპანიის სათაო ოფისის, იჯარა.

19. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა დადებული ტოტალიზატორის ფსონების ტრანზაქციებისა, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

20. COVID-19-ის გავლენა

COVID-19-ის აფეთქებამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

2020 წლის 11 მარტს, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19 -ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო, რაც მოიცავს ტრანსპორტით გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებას, უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს და ბიზნეს საზოგადოებისთვის მითითების მიცემას, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ. 2020 წლის მარტის განმავლობაში, რეგიონალურმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ეტაპობრივად შემოიღეს დამატებითი ზომები სოციალური დისტანცირების გასაძლიერებლად, სკოლების, უნივერსიტეტების, რესტორნების, კაზინოების, კინოთეატრების, თეატრების და მუზეუმების და სპორტული დაწესებულებების დახურვის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული შეზღუდვების შედეგად, 2020 წლის მარტში, კომპანიამ მისი ყველა კაზინოს საქმიანობა შეაჩერა (იხ. შენიშვნა 1). კომპანია მისი სპორტული საბუკმეიკერო კანტორების და კაზინოების ხელახლა გახსნას სამთავრობო შეზღუდვების მოხსნისთანავე გეგმავს. 2021 წლის მარტში ღია ტიპის მომსახურების ობიექტებზე, გაუქმდა გარკვეული შეზღუდვები. საქართველოს მთავრობის დადგენილება N332-ში „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ შეტანილი ცვლილებების თანახმად, კომპანიას უფლება მიენიჭება განაახლოს თავისი მიწისზედა ობიექტების ოპერირება 2021 წლის 1 აპრილიდან.

ზემოაღნიშნული სამთავრობო შეზღუდვების შედეგად, კომპანია ამჟამად ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ფარგლებში მუშაობს და თანამშრომლები ძირითადად დისტანციურ რეჟიმში, სახლიდან მუშაობენ. 2020 წელს, კომპანიამ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ, COVID-19-ისგან თავის დაცვის პროგრამების მხარდასაჭერად, 643 ათასი ლარის ოდენობით შემოწირულობა განახორციელა. COVID 19-ს ჰქონდა დაუყოვნებელი უარყოფითი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე, რამაც გამოიწვია კომპანიის მიერ ყველა კაზინოს საქმიანობის შეწყვეტა, ასევე ძირითადი სპორტული ღონისძიებების გაუქმება, რამაც 2020 წლის მარტიდან ივნისამდე პერიოდში, სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლის შემცირება გამოიწვია. თუმცა, რადგან კომპანიის ძირითადი საქმიანობა ონლაინ თამაშებს უკავშირდება, რომლებზეც არსებითი გავლენა არ ჰქონია COVID-19-ის აფეთქებას, საერთო ჯამში პანდემიამ არ იქონია არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და საოპერაციო შედეგებზე 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (იხ. შენიშვნა 6). ონლაინ თამაშების სექტორი ზოგადად ერთ-ერთ ყველაზე გამძლე სექტორად არის მიჩნეული. სექტორში მომსახურებაზე მოთხოვნა სტაბილურია და ფასები ფიქსირებული. შესაბამისად, ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ უახლოეს მომავალში COVID-19-ის პანდემია კომპანიის ბიზნესზე არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად გამოიყენებოდა კომპანიის მიერ, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა (იხილეთ შენიშვნა 5).

(a) შემოსავალი

კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება მოიცავს ონლაინ თამაშებს: ტოტალიზატორის აქტივობებს, კაზინოსა და peer-to-peer თამაშებს. კომპანია ასევე ამუშავებს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქვეტირში არსებულ სამორინეს და ბორჯომში არსებულ ტოტალიზატორს (იხ. შენიშვნა 1).

კომპანიის ტოტალიზატორისა და კაზინოს საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში, გარდა peer-to-peer თამაშებისა, რომელზეც საკომისიო შემოსავალი გამომჟღავნდება. შემოსავალი არ ექვემდებარება დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრას ნარდის გარდა, რომლის შემოსავალი აღიარებულია დღგ-ს გამოკლებით.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის გზით. შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ, კომპანია ტრანზაქციის ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს საქონელსა ან მომსახურებაზე.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკები.

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხასიათი და ვადები და მნიშვნელოვანი გადახდის პირობები
შემოსავალი <i>peer-to-peer</i> თამაშებიდან	Peer-to-peer თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საკომისიო შემოსავალს („რეიკი“) და ტურნირებში მონაწილეობის საკომისიოებს თამაშებიდან, რომლებიც დასრულებული იყო პერიოდის ბოლოს. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მომხმარებლის მიერ თამაშის დაწყებისას, „რეიკი“ აღიარდება მაშინვე, დროის გარკვეულ მომენტში, ყოველ დასრულებულ თამაშზე.
სხვა შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	სხვა შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მოიცავს კლიენტების ტრანზაქციების საკომისიოებსა და peer-to-peer გადარიცხვებიდან მიღებულ საკომისიოებს. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ტრანზაქციას/peer-to-peer გადარიცხვას განახორციელებს, შემოსავალი აღიარდება მაშინვე, დროის გარკვეულ მომენტში.

სხვა შემოსავალი

ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ფსონების საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ამონაგებს ან ზარალს პერიოდის განმავლობაში და წარმოდგენილია პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებული ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და აღირიცხება კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით და აღნიშნული შეფასებით გამოწვეული ამონაგები და ზარალი აღიარდება შემოსავალში, ისევე როგორ დახურულ პოზიციებზე რეალიზებული ამონაგები და ზარალი.

კაზინოს თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს წმინდა მოგებებს („customer drop“), ანუ სხვაობას დადებულ ფსონებსა და მომხმარებელთა მოგებებს შორის.

პერიოდის განმავლობაში გაწეული, მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეთების“) და ბონუსების ხარჯები აკლდება ონლაინ ტოტალიზატორის, ონლაინ კაზინოსა და peer-to-peer თამაშების შემოსავალს და წარმოდგენილია წმინდა სახით მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები:

- საპროცენტო შემოსავალს ინვესტირებულ თანხებზე;
- ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მისი მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ სად არის წარმოდგენილი უცხოური ვალუტის მოძრაობა - წმინდა მოგების, თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) თანამშრომელთა სარგებელი

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(e) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა შერწყმას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარს გადაცდენილი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღრიცხავს ამგვარი ერთეულების გადასახადის სახით, გარდა მოგების გადასახადისა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(iii) ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი

ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება 7%-იანი მოგების გადასახადით, მსგავსი საქმიანობიდან მიღებული ბრუტო შემოსავლის საფუძველზე (ანუ მიღებული ფსონები).

(f) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოვლენილი სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(გ) ძირითადი საშუალებები**(i) აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით აკუმულირებული ცვეთის და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან, ხოლო საწარმოს შიდა ძალებით დამზადებული აქტივი - მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება აქტივის თვითღირებულების საფუძველზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება საიჯარო ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესის მიხედვით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად სარწმუნოა, რომ კომპანია, საიჯარო ვადის ბოლოს მოიპოვებს აქტივზე მფლობელობას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე პერიოდში, შემდეგია:

სასარგებლო მომსახურების ვადები

საოფისე აღჭურვილობა	3-5 წლამდე
ავეჯი და მოწყობილობები	3-7 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	3-5 წლამდე
საიჯარო კეთილმოწყობა	5-10 წლამდე

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(h) არამატერიალური აქტივები

(i) სხვა არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასრული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. სხვა არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს სატელეკომუნიკაციო საოპერაციო ლიცენზიებს, კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებს და კაპიტალიზებულ სამაუწყებლო უფლებებს.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთვებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის ჯგუფის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(iii) ამორტიზაცია

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების (გარდა გუდვილისა) მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლოა ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთვებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა. მიმდინარე და შესაძარისი პერიოდებისთვის, არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა არის 3-10 წლამდე.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(i) ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც კლასიფიცირებულია ამორტიზირებული ღირებულებით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს და საბანკო ნაშთებს თავდაპირველი დაფარვის ვადებით 3 თვე ან ნაკლები.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს.

ფასს 9 ადგენს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება".

(i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან და შეფასებასთან მიმართებაში. თუმცა, ის აუქმებს ბასს 39-ის, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების, სესხებისა და მოთხოვნების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

ფასს 9-ის ფარგლებში, პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ის ფარგლებში ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ზოგადად ეფუძნება ბიზნეს მოდელს, რომლის ფარგლებშიც იმართება ფინანსური აქტივი და ასევე მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოიყენება ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასებისას.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	აღნიშნული აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით (იხილეთ (ii) ქვემოთ). საპროცენტო შემოსავალი, უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი მოგება და ზარალი და გაუფასურება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
--	--

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ("მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი"). ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისაგან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისაგან და ფულადი ნაკადებისა და მათი ეკვივალენტებისაგან.

ფასს 9-ს მიხედვით, ზარალის რეზერვი აღირიცხება შემდეგიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- *12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის ვადაში; და
- *არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების პერიოდის მანძილზე.

კომპანიამ გადაწყვიტა სავაჭრო მოთხოვნებისთვის ზარალის რეზერვები შეეფასებინა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- პროვაიდერი ვერ შეძლებს კომპანიის მიმართ არსებული საკრედიტო ვალდებულებების სრულად დაფარვას, კომპანიის მიერ ისეთი ქმედებების განხორციელების გარეშე, როგორიც არის უზრუნველყოფის რეალიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

(iii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია თავდაპირველად მოთხოვნებს აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება ხდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც შექმნილი ან შენარჩუნებულია კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავედროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(j) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ „კომპანიის“ ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრულის შესაბამისად.

(k) გაუფასურება

(i) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდიხებებისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(I) იჯარები

კომპანიამ ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გამოიყენა და მაშასადამე, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული და კვლავ ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არის წარმოდგენილი. ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში სააღრიცხვო პოლიტიკების დეტალები წარმოდგენილია ცალკე.

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

(i) როგორც მოიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მისი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო სტიმულირება.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

კომპანია მის მზარდ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე დაფინანსების წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და აკეთებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით. ლარისთვის და აშშ დოლარისთვის გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთები იყო 14.5% და 9.8%, შესაბამისად.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის „არსებით“ ფიქსირებულ გადახდებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის

გადაფასებულია თუ კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადახდილი არსებითი ფიქსირებული საიჯარო გადახდა.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი იჯარებისთვის, სალაროს სივრცეების ქირაობის ჩათვლით. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები

კომპანიამ გამოიყენა *COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები - ფასს 16-ის კორექტირება*. კომპანია იყენებს პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, რაც მას საშუალებას აძლევს არ შეაფასოს წარმოადგენს თუ არა დასაშვები საიჯარო კონცესიები (რომლებიც *COVID-19* კორონავირუსის პანდემიის პირდაპირი შედეგია), საიჯარო კორექტირებებს. კომპანია თანმიმდევრულად იყენებს პრაქტიკულ მიზანშეწონილობას მსგავსი მახასიათებლების მქონე და მსგავს გარემოებებში არსებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში.

22. ახალი სტანდარტები და ინტერპეტაციები

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული (*COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიების გარდა (ფასს 16-ის კორექტირება)*), წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები);
- საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები);
- 2018–2020 წლების ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება;
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები);
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები);
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები;
- ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია (ფასს 10-ის და ბასს 28-ის კორექტირებები).

23. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

(a) დივიდენდები

2021 წელს კომპანიამ მის აქციონერებზე გამოაცხადა დივიდენდები 112,366 ათასი ლარის ოდენობით.

(b) სიახლეები კანონებსა და რეგულაციებში

2021 წლის 1 მარტიდან, სათამაშო ბიზნესის სფეროში, ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც არეგულირებს:

ა) სათამაშო ბიზნესის ოპერატორების (როგორც არის შპს "მარსი") საქმიანობის შემოღებულ კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობასა და კონტროლს და (ბ) სათამაშო ბიზნესის ოპერატორებსა და ონლაინ თამაშების მიმწოდებლებს შორის ურთიერთობებს. დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ არის შემდეგი:

- ფინანსთა სამინისტროს მიერ, შემოღებულ იქნა მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მქონე პირი. საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ შერჩეულ იქნა დამოუკიდებელი სუბიექტი, ე.წ. „შერჩეული პირი“, რომელიც აუდიტს ჩატარებს აზარტული თამაშობების ოპერატორებს. „შერჩეული პირი“ ნებართვის მქონე პირების მიერ შემოღებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს. ისინი პასუხისმგებელი იქნებიან, სათამაშო ბიზნესის კონტროლის მიზნებისთვის, ელექტრონული სისტემების დანერგვასა და ფუნქციონირებაზე.
- ახალი რეგულაციების მიხედვით, მხოლოდ იმ მეწარმე სუბიექტებს ექნებათ სათამაშო ბიზნესის ოპერატორებისთვის თამაშების მიწოდების უფლება, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საქართველოში და ამავდროულად, თამაშების მიწოდების უფლებას ფლობენ. თამაშების მიმწოდებელი კომპანიების ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს, ასევე ახორციელებს „შერჩეული პირი“.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები დამატებით მოთხოვნებს დაუწესებს ინდუსტრიის მონაწილეებს. მიუხედავად ამისა, კომპანიას გააჩნია როგორც რეგულაციებთან შესაბამისობის ისტორია და ასევე განზრახვა და უნარი, რომ მომავალშიც უზრუნველყოს შესაბამისობა. მაშასადამე, ხელმძღვანელობა არ მოელოდა, რომ ცვლილებებს საქართველოს კანონში ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ ექნებათ არსებითი უარყოფითი გავლენა ბიზნეს საქმიანობის ჩვეულებრივ მიმდინარეობაზე.

შპს „მარსი“

*2020 წლის მმართველობის ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა*

სარჩევი

1. კომპანიის შესახებ	3
1.1 ორგანიზაცია	3
1.2 მესაკუთრეთა სტრუქტურა	3
2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა.....	3
2.1 კომპანიის ბიზნეს-პროფილი და ოპერაციები.....	3
2.2 ბაზრის მიმოხილვა	4
2.3 კომპანიის განვითარება.....	4
3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები.....	5
3.1 ნებართვები და ლიცენზიები	5
3.2 სხვა გადასახადები	5
4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	6
4.1 საბალანსო უწყისი.....	6
4.2 მოგება-ზარალის უწყისი	7
4.3 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები	7
5. კომპანიის ძირითადი რისკები.....	8
6. სამომავლო გეგმები და მიზნები.....	10

1. კომპანიის შესახებ

1.1 ორგანიზაცია

შპს „მარსი“ (შემდგომში „კომპანია“), დაარსებული 2005 წლის 5 მაისს, „მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად“, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. მისი საინდენტიფიკაციო ნომერია 405099058.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ქავთარაძის ქ., #5.

1.2 მესაკუთრეთა სტრუქტურა

კომპანიის საკონტროლო პაკეტის (51%) მფლობელია „Bwin Holdings (Malta) Limited“, რომლის საბოლოო მაკონტროლებელ მხარესაც წარმოადგენს „Entain PLC“ (ყოფილი: GVC Holdings PLC) - მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი, აზარტული თამაშების ბაზარსა და სამომხმარებლო სექტორზე მოოპერირე „ჯგუფი“.

კომპანიის წილის დანარჩენ 49%-ს ფლობენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები.

მესაკუთრე	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
Bwin Holdings (Malta) Limited	51%	51%
ლევან ახვლედიანი	24%	24%
კნიაზ დასენი	10%	10%
გიორგი ჩხეიძე	5%	5%
კობა გიგლემიანი	5%	5%
ვანო გიგლემიანი	5%	5%

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

2.1 კომპანიის ბიზნეს-პროფილი და ოპერაციები

დაარსების დღიდან, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობების მოწყობა ვებ-გვერდის - www.crystalbet.com-ის საშუალებით. მომხმარებლებისათვის შეთავაზებული, ბაზარზე არსებული წამყვანი პროდუქტები, წარმოდგენილია შემდეგ კატეგორიებად:

- ონლაინ სპორტი (ტოტალიზატორი);
- ონლაინ ლაივ სამორინე;
- ონლაინ P2P თამაშები;
- სხვა.

გარდა ზემოთ ხსენებული ონლაინ სეგმენტისა, 2020 წლის განმავლობაში, კომპანია ფლობდა შემდეგ მიწის ობიექტებს:

- სამორინეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში;

- ტოტალიზატორს ქალაქ ბორჯომში.

ფულადი სახსრების მოძრაობა - როგორც შემოდინება, ისე გადინება, ხორციელდება საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების სერვისებისა (თანხის შემოტანისა და გატანის არხები) და ქვეყნის ფარგლებში განთავსებული საღაროების მეშვეობით (რომლებიც, ქვეყანაში არსებული ეპიდემიური ვითარების ფარგლებში შემოღებული შეზღუდვების გამო, 2020 წლის მარტის თვიდან არ ფუნქციონირებს).

2.2 ბაზრის მიმოხილვა

დაარსების დღიდან კომპანიის ოპერაციები შემოიფარგლება საქართველოს ბაზრით, რომელიც თავის მხრივ, ხასიათდება დიდი კონკურენციითა და ზოგადად, საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებებით.

2020 წლის განმავლობაში, აზარტული თამაშების ონლაინ სეგმენტზე წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ძირითადი მოთამაშეები:

- Adjarabet;
- Europe-bet;
- Lider-bet;
- Betlive;
- Crocobet.

2.3 კომპანიის განვითარება

სწრაფად ცვალებად კონკურენტულ ბიზნეს გარემოში, კომპანია განუწყვეტლივ ცდილობს შეთავაზოს საკუთარ მომხმარებლებს ინოვაციური პროდუქტები და მიდგომები.

გამომდინარე ელექტრონული კომერციის სწრაფი განვითარებიდან, კომპანიისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს:

- არსებულ პროდუქტებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა უწყვეტ რეჟიმში;
- ხელმისაწვდომობის გამარტივება (გამომდინარე ინტერნეტის, სმარტფონებისა და სხვადასხვა ციფრული კომუნიკაციის საშუალებების სწრაფი განვითარებისა);
- მომხმარებლებთან ეფექტური ორმხრივი კომუნიკაციის დამყარება;
- ფულადი სახსრების მოძრაობის არხების გაფართოება;
- არსებული პროდუქციის გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება.
- მომხმარებლებისათვის ახალი პროდუქტების შეთავაზება.

ხსენებული პრიორიტეტები, თავის მხრივ, გულისხმობს თანდართულ რისკებს, რომლის წინაშეც დგას კომპანიის მენეჯმენტი და რომელთა მინიმიზაციაც წარმოადგენს მისსავე ვალდებულებას. კომპანიის წინაშე არსებული რისკების ანალიზისათვის, იხ. პუნქტი 5 – „კომპანიის ძირითადი რისკები“.

3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები

3.1 ნებართვები და ლიცენზიები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აზარტული თამაშოების მოწყობისათვის საჭიროა შესაბამისი ნებართვების (ლიცენზიების) არსებობა, თუმცა უშუალოდ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობ(ებ)ის ორგანიზებისათვის ცალკეული ნებართვა არ გაიცემა. ამ მხრივ, საკანონმდებლო მოთხოვნას წარმოადგენს რეალური ობიექტის არსებობა (ობიექტების შესახებ ინფორმაცია იხილეთ პუნქტში 2.1 – „კომპანიის ბიზნეს პროფილი და ოპერაციები“) და შემოსავლების სამსახურის მიერ კვარტალური ელექტრონული ველის გამოყოფა.

შპს „მარსს“ მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და ლიცენზია, და ახორციელებს ოპერაციებს მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების ფარგლებში.

3.2 სხვა გადასახადები

კომპანიას, ოპერაციებიდან გამომდინარე, ეკისრება შემდეგი ტიპის გადასახადები:

- ✓ **მოგების გადასახადის სპეციალური რეჟიმი**
დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორის ფარგლებში მიღებული ფსონები. განაკვეთი შეადგენს აღნიშნული ფსონების 7%-ს;
- ✓ **მოგების გადასახადი (15%)**
მოგების გადასახადის ახალი, ე.წ. ესტონური მოდელის მიხედვით (მოქმედი 2017 წლის 1 იანვრიდან) დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება.
2020 წლის განმავლობაში აღნიშნული გადასახადის ხარჯმა შეადგინა 17,018 ათასი ქართული ლარი (2019: 6,591 ათასი ქართული ლარი).
- ✓ **დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი)**
დასაბეგრი ოპერაციები:
 - 18%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები;
 - დღგ-ს ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციები.
- ✓ **საშემოსავლო გადასახადი (20%-იანი განაკვეთი)**
დასაბეგრი ოპერაციები:
 - კომპანიისათვის დაქირავებულ თანამშრომელთათვის გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებლები;
 - ფიზიკური პირებისათვის, მიღებული მომსახურებ(ებ)ის ფარგლებში გადახდილი ანაზღაურებები და სარგებელი;
 - მომხმარებლებზე გაცემული პრიზები და სარგებლები.
- ✓ **არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი**
კომპანიის კონტრაგენტების წარმომადგენლობის გათვალისწინებით, შესაბამისი ოპერაციები იბეგრება 5%, 10% ან 15%-იანი განაკვეთით.
- ✓ **დივიდენდის საშემოსავლო გადასახადი**
დასაბეგრი განაკვეთი: 5% ან 0% (ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ არსებული ხელშეკრულების ფარგლებში);

✓ **ქონების გადასახადი**

დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში და მის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და ა.შ. აღნიშნული გადასახადი, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, იანგარიშება როგორც საშუალო წლიური საბალანსო ღირებულების არა უმეტეს 1%.

ზემოთ მოცემული ყოველი ტიპის გადასახადის დარიცხვა / დაკავება / ბიუჯეტის სასარგებლოს გადახდა ხორციელდება მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შენიშვნა: 4.1 და 4.2 პუნქტებში წარმოდგენილი კომპონენტები არის ძირითადი და არა ყოვლისმომცველი. კომპანიის 2019 წლის სრული ფინანსური მონაცემები - მათ შორის ფინანსური უწყისები, კონკრეტული პუნქტების შესაბამისი თანხობრივი მონაცემები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, მოცემულია 2019 წლის აუდიტებულ ანგარიშგებაში.

4.1 საბალანსო უწყისი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი აქტივები		7,349	8,457
მოკლევადიანი აქტივები	4.1.1	160,615	81,101
გაუნაწილებელი მოგება		138,966	72,634
გრძელვადიანი ვალდებულებები		1,142	1,407
მოკლევადიანი ვალდებულებები	4.1.2	27,856	15,517

4.1.1. გამომდინარე კომპანიის ოპერაციების სპეციფიკიდან, 31.12.2020 მდგომარეობით კომპანიის აქტივების უდიდეს ნაწილს, 83.74% (**31.12.2019:** 83.25%) წარმოადგენს ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

4.1.2. ვალდებულებების კუთხით გამოსაყოფია:

- ვალდებულებები კლიენტების მიმართ: რომელთა დაკმაყოფილება შეიძლება, აუცილებელი გახდეს ნებისმიერ დროს. აღნიშნულისთვის კომპანია იყენებს ზემოთ ხსენებულ ფულად სახსრებს. უფრო დეტალურად, კომპანიის ლიკვიდურობასა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, გთხოვთ, იხილოთ პუნქტი 5 – „კომპანიის ძირითადი რისკები“.
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები: კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებების დაფარვა ხდება ხელშეკრულებით პირობების შესაბამისად, და განსაზღვრულ ვადებში, თუმცა არა უგვიანეს ვალდებულების წარმოშობიდან 6 თვისა.

4.2 მოგება-ზარალის უწყისი

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	4.2.1	363,292	260,226
საოპერაციო ხარჯები	4.2.2	(158,532)	(148,446)
პერსონალის სარგებელი		(12,535)	(11,723)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		190,310	98,643
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		177,063	94,334

4.2.1 კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ნეტო რიცხვად;

4.2.2. საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

საოპერაციო ხარჯის ტიპი	2020 (%)	2019 (%)
მოგების გადასახადი (სპეციალური რეჟიმი)	24.2	26.9
თამაშების პროვაიდერების ხარჯები	33.3	25.1
სარეკლამო და მარკეტინგული დანახარჯები	16.4	23.1
საკომისიოები და საბანკო ხარჯები	22.1	20.1
სხვა საოპერაციო ხარჯები	4.0	4.8

4.3 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომელთა კეთილდღეობა

როგორც კომპანიის მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებელი, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ქვეტანაში არსებული ეპიდემიური ვითარებისა და დაწესებული შეზღუდვებისა, 2020 წლის განმავლობაში, 2019 წელთან შედარებით, კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა გაიზარდა 7.9%-ით, ხოლო საშუალო ანაზღაურება - 15%-ით.

კომპანია მუდმივად ცდილობს, შეუქმნას მის თანამშრომლებს უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემო და ამავდროულად, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის კორპორატიული სარგებლობით.

სავაჭრო ურთიერთობები

კომპანიისათვის არა მონეტარული მნიშვნელობის მქონე საკვანძო საკითხს წარმოადგენს სავაჭრო ურთიერთობები. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს, პროფესიონალური სავაჭრო ურთიერთობები დაამყაროს მხოლოდ ცნობად და ბაზარზე დადებითი რეპუტაციის მქონე კონტრაგენტებთან, რაც ხელს უწყობს მიღებული საქონლისა თუ მომსახურების უნაკლო ფორმით მიღებას, ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებასა და კომპანიის წინაშე არსებული სხვადასხვა სახის რისკების მინიმიზაციას.

კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ მოცემულ მომენტში არ არსებობს სხვა სახის მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებელი, რომელიც, მისი წარმოდგენის შემთხვევაში, დაეხმარებოდა მოცემული მმართველობის ანგარიშგების წამკითხველს შპს „მარსის“ განვითარების, საქმიანობისა და მდგომარეობის ძირეული ასპექტების უკეთ გაგებაში.

5. კომპანიის ძირითადი რისკები

კომპანიის სპეციფიკისა და სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის მახასიათებლებიდან გამომდინარე, შპს „მარსი“-ს მენეჯმენტი, რომელსაც აქვს რისკების მართვის პროცედურების იმპლემენტაციისა და მისი შემდგომი ზედამხედველობის პასუხისმგებლობა, აცნობიერებს კომპანიის წინაშე არსებულ რელევანტურ რისკებს, და ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებზე მუდმივი დაკვირვებითა და მის ხელთ არსებული სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული რისკების მინიმიზაციას. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანი როლი უკავიათ კომპანიის კვალიფიციურ თანამშრომლებს, რომლებიც აცნობიერებენ დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს და რომელთა გადამზადებაც, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

კომპანიის წინაშე არსებული საკვანძო რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად მიმართულებებად:

➤ საკრედიტო რისკი

გამომდინარე კომპანიის სპეციფიკისა, რაც გულისხმობს დიდი რაოდენობით ფულადი აქტივების არსებობას, არსებობს რისკი იმისა, რომ მეორე მხარე სათანადოდ ვერ შეასრულებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს.

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის, კომპანიის მენეჯმენტი ახდენს ფულადი რესურსების დივერსიფიცირებას მაღალი რეპუტაციისა და რეიტინგის მქონე კომერციულ საბანკო დაწესებულებებში და აკვირდება ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს, რაც, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს სწრაფი რეაგირების საშუალებას.

➤ ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ბიზნეს პროცესებიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ ჯეროვნად შეასრულოს მომხმარებლებისა და სერვის პროვაიდერების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის კომპანიის მენეჯმენტი იყენებს სხვადასხვა ბერკეტებს, მათ შორის წარსული შედეგების ანალიზს, ფულადი სახსრების დივერსიფიკაციას და მონიტორინგს, ლიმიტების დაწესებას და ა.შ. თითოეულ მოცემული პუნქტზე დაკვირვება და ანალიზი მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში, რაც იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების დროულად შეტანის შესაძლებლობას.

➤ **სავალუტო რისკი**

ძირითადად, კომპანია სავალუტო რისკის წინაშე დგას იმ პოზიციებზე, რომელთა საოპერაციო ვალუტაც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან (ქართული ლარი). ძირითად ვალუტებს, რომლებშიც დენომინირებულია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები, წარმოადგენს აშშ დოლარი (USD) და ევრო (EUR).

გამომდინარე იქიდან, რომ სათამაშო ბიზნესის ქართული ბაზარი დღეის მდგომარეობით არ გამოირჩევა მომწოდებელთა მრავალფეროვნებით, პროდუქტების დიდი ნაწილის მოწოდება (და შესაბამისად, შემდგომი ანგარიშსწორება) ხდება უცხოელი კონტრაგენტების მიერ.

იმის გათვალისწინებით, რომ სავალუტო კურსების ცვალებადობა წარმოადგენს ძირითად მაკროეკონომიკურ ბერკეტს, რომელზე გავლენის მოხდენაც კომპანიის შესაძლებლობებში არ შედის, შეუძლებელია რისკის ნულოვან ნიშნულოვანდე შემცირება. თუმცა მენეჯმენტი, უცხოურ ვალუტაზე ხელმისაწვდომობით, მათი სათანადო გადანაწილებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების პერიოდული გადახედვითა და გაუმჯობესებით, ახერხებს ამ მხრივ გააჩნდეს მყარი პოზიცია.

➤ **IT უსაფრთხოებისა და რეპუტაციის რისკი**

ონლაინ სათამაშო ბიზნესი, როგორც წესი, ხასიათდება მომხმარებელთა ლოიალობის მაღალი სენსიტიურობით. შესაბამისად, განსაკუთრებული როლი ენიჭება IT მიმართულებით უსაფრთხოების ზომების უწყვეტ გაუმჯობესებას.

კომპანიის მენეჯმენტი, მუდმივი ზედამხედველობით, კვალიფიციური თანამშრომლებითა და საჭირო აღჭურვილობების საშუალებით, იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ვებ-გვერდზე ვიზიტი, თითოეული მომხმარებლისათვის, იყოს მაქსიმალურად უსაფრთხო და ხასიათდებოდეს შეფერხებების მინიმალური რაოდენობით.

აღნიშნული ბერკეტების საშუალებით, კომპანია მუდმივად იყო, და რჩება, ბაზარზე მაღალი რეპუტაციის მქონედ და ამგვარად გაგრძელება წარმოადგენს სამომავლო ფუნდამენტური სახის პრიორიტეტს.

განხილულ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოცემულია კომპანიის 2019 წლის აუდიტირებულ ანგარიშგებაში (გთხოვთ, იხ. ახსნა-განმარტებითი შენიშვნა #16).

➤ **სხვა რისკები**

2020 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელმაც პირველი კვარტლის მიწურულიდან, გლობალური ეკონომიკურ ბაზარს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა,

გამოწვეული იყო კორონავირუსის გავრცელებით. იქედან გამომდინარე, რომ კომპანია საქმიანობს აზარტული ონლაინ თამაშების სექტორში, COVID 19-ის აფეთქებას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა და კომპანია შეუფერხებლად აგრძელებს საქმიანობას. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ აღნიშნული მოვლენა მომდევნო პერიოდის განმავლობაში იქონიებს რაიმე სახის მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია კომპანიის 2020 წლის აუდირებულ ანგარიშგებაში.

6. სამომავლო გეგმები და მიზნები

შპს „მარსის“, როგორც ქართულ სათამაშო ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის, უმთავრეს სამომავლო მიზანს წარმოადგენს არსებული წამყვანი პოზიციის შენარჩუნება და შემდგომი განმტკიცება.

მომდევნო ფინანსური წლისათვის, კომპანიის საოპერაციო გეგმებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- მომხმარებლებისთვის ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზება;
- არსებული პროდუქტების დახვეწა და ხარისხის გაუმჯობესება;
- მომხმარებელთათვის სათამაშო პლატფორმაზე ფულადი სახსრების მოძრაობის დამატებითი არხების შეთავაზება;
- კომპანიის გაძლიერება კვალიფიციური თანამშრომლებით.

გიორგი ჩხეიძე
დირექტორი

თარიღი: 19 მარტი 2021

გამოწვეული იყო კორონავირუსის გავრცელებით. იქედან გამომდინარე, რომ კომპანია საქმიანობს აზარტული ონლაინ თამაშების სექტორში, COVID 19-ის აფეთქებას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა და კომპანია შეუფერხებლად აგრძელებს საქმიანობას. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ აღნიშნული მოვლენა მომდევნო პერიოდის განმავლობაში იქონიებს რაიმე სახის მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე.


აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია კომპანიის 2020 წლის აუდირებულ ანგარიშგებაში.

6. სამომავლო გეგმები და მიზნები

შპს „მარსის“, როგორც ქართულ სათამაშო ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის, უმთავრეს სამომავლო მიზანს წარმოადგენს არსებული წამყვანი პოზიციის შენარჩუნება და შემდგომი განმტკიცება.

მომდევნო ფინანსური წლისათვის, კომპანიის საოპერაციო გეგმებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- მომხმარებლებისთვის ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზება;
- არსებული პროდუქტების დახვეწა და ხარისხის გაუმჯობესება;
- მომხმარებელთათვის სათამაშო პლატფორმაზე ფულადი სახსრების მოძრაობის დამატებითი არხების შეთავაზება;
- კომპანიის გაძლიერება კვალიფიციური თანამშრომლებით.



გიორგი ჩხეიძე
დირექტორი

თარიღი: 19 მარტი 2021